სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 866

დამატების № 152

კვირა, 7 აპრილი 1913 წ.

დემონი, ნახატი ზიჩისა.

არჩილ ჯორჯაძე კუბოში.

დავით გურამიშვილის ხსოვნას

რა ძალიან გული მტკივა,
მაურჟოლებს და ტანში შხარავს.

დ. გურამიშვილი.

შენ, ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!
შენს აჩრდილს ვეამბორები
ლექსიც რამ დამიჩხაპაო.
ნეტავ რას მემუდარები,
მე რა გიამბო, აბაო,—
ნამდვილო მამულიშვილო,
სამშობლოს ეკლის მკაფაო?!
პოეტად ვიხსენიები,
თუმცა ხარი ვარ ლაბაო,
ჩემისთანები ბაგებზე
ასი, ათასი, აბაო.
ტან-ფეხშიშველი დავდივარ,
ცოლს არ მიცვია კაბაო,
შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემის გრძნობების ფაფაო.
ამ გვარი საჭმლის კეთებას
დიდი სდომნია ჯაფაო;
გაუღე სული და გული
როდის ხანია ვყლაპაო,
გაუთავები გამოდგა,
არც დამკარგვია მადაო.
ვიცი არ გამიჯავრდები
და არცა მკითხავ:—რადაო?
მას აქეთ ჩონგურს ვაჟღერებ,
თანაც ლექსებსა ვჩმახაო.
ჩუმ-ჩუმად კიდეცა ვტირი,
რა დაგიმალო,—მნახაო!
იქნება მადლობელიც ხარ,
იქნება არა მძრახაო?!
მიშველეთ შენ და შოთამა,



ოთახი სასტუმრო „ფრანციაში" (ბათომში), სადაც გარდაიცვალა **არჩილ ჯორჯაძე.**

მგოსნობა გამიძრახაო,
გული დადნა და დანავლდა,
მიხმება, მშრება ხახაო.
დაჩოქილი ვარ თქვენს წინა
ვით ერთი ვინმე გლახაო;
მიშველეთ, მომაკლებინეთ
ლელო, რაც დამისახაო,
მაშინ თქვენს ნათელ სახეებს
მეც პირ-ნათლადა ვნახაო.

ვაჟა-ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არჩილ ჯორჯაძე
გიმნაზიაში სწავლის დროს.

არჩილ ჯორჯაძე ამხანაგებში. არჩილ ჯორჯაძე სდგას მარცხნიდან მეორე ადგილას.

ზღვაზე

ოცნების მხარეს მისცურავს გემი,
იმედის შუქით გაბრწყინვებული,—
ჩემი სიცოცხლე, მიზანი ჩემი,
ციური ზრახვით აღტყინებული.
ზღვა ლურჯ კამკამით ატოკებს ზვირთებს,
ზღვასთან გავაბი მჭიდრო კავშირი
და განუყრელსა ყოფნისა ფიქრებს
მარად წინ ვუძღვი უძლევი გმირი.
არა, არა მწამს მე აწ სიმშვიდე,
უკუღმართობა კაცთა წერისა,
ჟამთ უფსკრულისა დავტოვე კიდე
და შენ დაგეძებ, ბედო ერისა.
წინ, წინ თამამად გასცურდი გემო,
გვიწვევს ქვეყანა განახლებული...
—შენ ჩემთანა ხარ, სამშობლოვ ჩემო,
შენთან მინათებს მნათობთ კრებული!

*
* *

შუქით მოსილი სამეფო მწვანე
და შიგ ძვირფასი მარგალიტები...
მიყვარს ბრძოლისა ეს ოკეანე,—
უკვდავებისა მადლით ვივსები!
ყოველი ზვირთი ზღაპარს მიამბობს,
ყოველი სახე მშვენიერია,
ოქროს ცხოველთა გუნდი კიაფობს
და თმა-გაშლილი ცელქობს ფერია.
აჰა, აქ არის ყოფნის დიდება,
აქ იბადება ძალთ შემომქმედი;
ჟამთა წყვდიადში აღმობრწყინდება
ჩვენი საუნჯე და ჩვენი ბედი!
მაშ წინ, წინ გასწი იმედის გემო,
გვიხმობს ქვეყანა განახლებული...
—ნუ მოგწყენია, სამშობლოვ ჩემო:
გზას გაგვინათებს მნათობთ კრებული!

*
* *

მკითხავთ, სად მივალ? რას ვესწრაფები?
რა არის ღმერთი უკვდავებისა?
—მკლავზე გაბმული, ბრძოლის ძაფები,
ცვალებადობა არსთა ცნებისა!
აგერ, ეს ტალღა ბრაზ-მორეული,
გემს ეჯახება მედგარ კივილით;
ეგებ ზღვა არის რითმე სნეული
და იტანჯება იგი ტკივილით?
მაგრამ ზვირთთა მთა მძლავრი, მაღალი,
ადგა, უფსკრული წელში გახარა,
დაჰკრა, გაიპო როგორც ნაპრალი
და ნეტარებით გადიხარხარა...
ო, გასწი, გასწი თამამად გემო,
ზვირთი გააპე ამქუხრებული...
—მალე მივაღწევთ, სამშობლოვ ჩემო,
მალე გვეწვევა მნათობთ კრებული!

*
* *

... და მიჰკრის გემი. ოცნების მხარე
ხან ახლო მოსჩანს, ხან იკარგება,
ღამის ეტრატზე გავსილი მთვარე
ზღვაზე ციმციმებს და იხატება.
სადღაც სილაზე დრტვინავს ნიანგი,
გედი ხმას აძლევს ყელ-მოღერილი;
მათთან მუსიკობს ტალღათა ჰანგი
კამკამ უფსკრულით აღმომღერილი.
და მთვარის შუქი უხვად ფრქვეული,
ზვირთებს ჰკოცნის ნაზ ამბორითა,
სივრცე, თილისმის სარკედ ქცეული,
ზურმუხტ კანკალით ცელქობს შორითა...
მაშ, გასწი, გასწი, სიცოცხლის გემო,
ვპოვოთ ქვეყანა განახლებული...
—აღზდეგ! ციმციმებს, სამშობლოვ ჩემო:
ახალ-ყოფნისა მნათობთ კრებული!

ნ. ჩხიკვაძე.

აბრეშუმი სიკვდილისა

(დასასრული *)

40.

ელისბარმა მთელი ზამთარი გაატარა ქალაქში, მაგრამ იქაური რამ სიამოვნება კი ვერ იგემა. ფული ჰქონდა ვაჟკაცს უშურველი, გული კი აღარ მოსდევდა. სიმდიდრე ვეღარ ახარებდა გულმკვდარს, უხმარ იყო იგი მისთვის. არც ტოლ-სწორში გავიდა ამ ხნის განმავლობაში, არც წიგნს გაერთო, არც კალამს მოჰკიდა ხელი. ქალაქში სცხოვრობდა, სადაც ხალხი ბუზივით ირეოდა, ხოლო მისთვის ეს ხალხით ტენილი ადგილი უდაბნოვე იყო, უშენი და უკაცო. უმეტეს ნაწილად თავის ოთახში იჯდა. თუ გავიდოდა, დადიოდა თავ-ჩაღუნული და ამხანაგად, აზრთა თანამოზიარედ, გაეხადნა თვისი უნელებელი სევდა, რომელიც მხოლოდ ერთს ესაუბრებოდა მას, ერთს ევლებოდა თავს და ეს ერთი იყო მისი ლიზიკო. ან შევიდოდა თავის სიმამრთან, რომ დაესისხლიანებინა, გაეღრმავებინა, იგივე წყლული გულისა. ეს აჟინებული, მარად თვალწინ მდგომი, ფიქრი აწამებდა ვაჟკაცს ჯ უფრთხობ-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 151.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განსვენებას თვით მიცვალებულსაც: იწვევდა მას ამ ქვეყნად აჩრდილთა სამფლობელოდან.

ეხლა ხშირად ევლინებოდა ელისბარს ლიზიკო, ხან ხმას აწვდენდა, ხან სიოსებურ შეხებით აგრძნობინებდა თავის სიახლოვეს, ხან ნისლივით გაივლიდა მის თვალწინ. რამდენჯერმე როიალსაც შეეხო იგი და სევდიანად აახმაურა წყვდიად ღამეში. ვაჟკაცს თან შიშის ზარი იტანდა მის მოვლენაზე, თან ჰსურდა იგი მალ-მალ გამოსცხადებოდა მას, რომ ცხადად, ნივთიერად, ეგრძნო მისი სიახლოვე.

ერთად ერთი ადამიანი, რომელთანაც მას ჰქონდა ერთობა ამ ხნის განმავლობაში, იყო მისი სიმამრი ზურაბი. ეს ერთობა დიდ იმედს აძლევდა ელისბარის მშობლებს: ნელ-ნელა გაერთობა მასთან და დასძლევს თვის სევდასაო—ფიქრობდნენ ისინი. რა იცოდნენ, რომ ეს მეგობრობა უფრო უიარავებდა მას სულს დაწყლულებულს, რომ მათ იქ იმავ საგანზე ჰქონდათ ხოლმე გატაცებული საუბარი, რადგან ზურაბსაც იგივე წყლული სტკიოდა, მისი გონებაც ამავე საგანს ევლებოდა თავს. ელისბარის მახლობელთ არ იცოდნენ ეს და მადლობელნი იყვნენ მოყვრისა, რომ ქალის დაკარგვის შემდეგაც არა უარჰყო თავისი სიძე, გული დაუხვია მას და მეგობრულად გაუწოდა ხელი.

ელისბარი კი უარ და უარ მიდიოდა. სულით რომ მოეშვა იგი და მოდუნდა, ხორციოთაც მოუძლურდა: ჩამოდნა, ხველა აღარ მოეშო, შიგადაშიგ აციებდა, ხშირად ოფლს ასხავდა, ხელები ელიპებოდა. მთლად დაკარგა ხალისი. შვილიც ვეღარ იქცევდა თავისზე მის ყურადღებას. დაუძახებდა ბიჭს, ხელში აიყვანდა, მოუალერსებდა, მაგრამ ყველა ამას თითქო მოვალეობის შესასრულებლად სჩადიოდა, უგულოდ. შეიძლება ისიც მოქმედებდა მასზე, რომ დარწმუნებული იყო, ბალღს უმისოდაც არაფერი გაუჭირდება: პაპა და დიდედა არ აგრძნობინებდნენ მას უდედობას და მამის მისადმი სიგრილეს.

გავიდა ზამთარი და დადგა წვიმიან-ნესტიანი ცვალებადი გაზაფხული. ელისბარს დააჩნდა ნიშნები საშიშის ავადმყოფობისა. ხუმრობა აღარ იყო, საჭირო გახდა მიემართათ საიმედო რამ საშუალებისთვის. ექიმებმა ახედ-დახედეს და ჰაერის გამოცვლა ურჩიეს. უთხრეს ჭირისუფლებს, თითქო სიჭლექის ნიშნები დაეტყოვო. უიმედოდ კი არ დასტოვეს ისინი:

— ჩვენი ხელოვნება თითქმის უქმია ამ სენის წინააღმდეგ, მეცნიერებას ჯერ უებარი წამალი არ აღმოუჩენია მის განსაკურნად, მაგრამ იმედის დაკარგვა მაინც ნაადრევია: არის შემთხვევები, როცა დაავადებული სხეული თითონ იმარჯვებს მაგ სენზე და ადამიანი იხდის ხოლმე ამ ავადმყოფობასაც, თუ შესაფერი გარემოებები ხელს უწყობენ მას. ამ შემთხვევაში სწორედ მოსალოდნელია ეს კარგი შედეგი, რადგან გვარში არა გქონიათ ეგ სენი, თითონ ავადმყოფი მაგარი აგებულობისაა და შეძლებაცა გაქვთ, ნირი არ შეუშალოთ მას.

დაღონებულებმა გაისტუმრეს ელისბარ სოფელში, რადგან სწორედ მათი დაბის ადგილი ურჩიეს ავადმყოფისათვის.

სოფელში იმ დროს მივიდა ელისბარ, როდესაც სითბოს უკვე დაეძლია სისასტიკე ზამთრისა და მთლად განედევნა ის, როდესაც თვის სატრფიალო მზისაგან ნუგეშცემულ და გამთბარ ბუნებას საალერსოდ გადაეშალნა თვისი ათასფერად შემკული გულმკერდი და თვალწარმტაცად დამშვენებულიყო კეკლუცი, როდესაც აჩქეფებულიყო მის ძარღვებში ნაკადი ძალთა მრავალთა და წარმოშობის სურვილით სავსეს მიეპყრო ვნებათა ღელვით მიბნედილი თვალები ცვართა მაპკურებელ ზეცისთვის. ქალაქის დახშულ ჰაერის და შეზღუდვილ-შევიწროებულ ქუჩების შემდეგ, სამოთხედ მოეჩვენა ელისბარს საპატარძლოდ განმზადებული ბუნება და გაეხარდა ბავშვივით. სიცოცხლის ნაკადმა, როემელიც უხვადა სჩქეფდა ბუნებაში და აღვიძებდა იქ აღორძინებისადმი მისწრაფებას, მოჰკრა თავისი ტალღა ვაჟკაცს და გაიტაცა. კვლავ იგრძნო ელისბარმა სიცოცხლის დუღილი და მოესურვა, თითონაც გაეზიარებინა ბუნების მისწრაფება ახალ ცხოვრებისადმი, თითონაც ჩაბმულიყო ბუნების შვილთა მხიარულ ფერხულში, თითონაც ბანი მიეცა მათ ტკბილ და მხიარულ მაყრულისათვის. მთელი თვისი დაავადებული არსებით იგრძნო სიდიადე იმ ზეგარდამო ნიჭისა, რომელიც არის სიცოცხლე, რომელსაც აღარ უფრთხილდებოდა უბედურებისაგან მიწად დახრილი ვაჟკაცი და რომელიც ეხლა თითონ არიდებდა პირს უმადურს.

კვლავ წაესწრაფა უღონოდ ქმნილი ელისბარ სიცოცხლისაკენ და რად უნდა სწყენოდა განსვენებულ ლიზიკოს ესეთი მისწრაფება მისი?! სიცოცხლე ხომ თვით სიმშვენიერეა და სიხარული, მხოლოდ ხომ სიცოცხლეა ის ზეცით მონაბერი ნიჭი, რომელიც აახლოვებს სულდგმულს შემოქმედთან, რადგან შემოქმედი არის თვით სიცოცხლე უბერებელი, ცხოვრება გარდუვალი, უკვდავება შემოუწერელი; მხოლოდ (კოცხალს ძალუძს ჰგრძნობოს შემოქმედი, ცხოველმყოფელს და მიემსგავსოს მას. [illegible] არნახებს მას და ყოველთვის აგრ[illegible] არის უმსგავსო დარღვევა და განკ[illegible] რამ არარაობა, საზარელი უარყო[illegible] ზიკოს სულისათვისაც ხომ ძვირ[illegible] ნიჭრი სიყვარული, თუ არა, რად[illegible] ქაოსკენ, რადღა მოევლინებოდა ი[illegible]

— დიაღ, ბ[illegible] ლოდ ამ ქვეყნად არის! და იგი ბედნ[illegible] თვითცნობიერი, რომელი მისწვდებ[illegible] მყაროსი, რომელი ჰგრძნობს ამ [illegible] ესებაში და ჰნეტარობს ამ ღვთაე[illegible]

და ენანებოდ[illegible] ფირული თავიც, თვისი მიტოვებულ[illegible] ნებაც, რომელიც გარს ერტყა მას, [illegible], რომელიც უნდა ჩამქრალიყო [illegible] ლამპარი მისის ცნობიერებისა. ე[illegible] ი ცვალება სნეულისა.

— ვაჟკაცში[illegible] ის წყურვილმა, მან უკვე მოიხედა ცხოვრებისაკენ, ეხლა ძალი თვისი ძალით შეებრძოლება ავადმყოფობას და ეს გაადვილებს სენის დაძლევას.—ამბობდა ის.

41.

კეკლუც გაზაფხულს ადგილი დაეთმო მთლად გადაფურჩქვნილ და გულსავსე ზაფხულისათვის. დედამიწა სავსებით დამტკბარიყო ცხოველმყოფელი მნათობის ალერსით, ამ ტრფობას უხვად აემსო წიაღი მისი ნაყოფიერებით: დატვირთული იყო მოსავლით ხე, მდელო, ნიადაგი. მზეს გასტკბობოდა იგი ალერსი, ბრწყინვალედ დაჰნათოდა დედამიწას, უშურვებლად აფრქვევდა სხივებს სავსებისაგან თვისისა, სცდილობდა დაჰხმარებოდა დედამიწას, რომ უკლებლივ დაესრულებინა ‍ ‍ მოემწიფებინა ნაყოფი მათის ტრფობისა გასახაროდ ახალის სიცოცხლისა, ასაღორძინებლად ახალის ცხოვრებისა.

სულდგმულს კი შეჰშინებოდა მნათობის ვნებათა ღელვისა და, მის სიმწვავისაგან ლტოლვილი, შეჰფარებოდა ჩრდილს. აგარაკად გამოსული ხალხი მოსდებოდა ფიჭვნარს და ნეტარებდა ამაყ მცენარეთა სურნელოვან ფშვენით გაჟღენთილ ჰაერში. მოსულიყო ფიჭვნარში ელისბარიც და დაეკანონა იმ ადგილს, სადაც ოდესმე ცა გაეხსნა მას და იხილა ბედნიერება პირისპირს. ლაღად აწვდილი ფიჭვები გადასჭდობოდნენ ერთმანეთს მწვანედ გადაშლილ წვეროებით და ხარბად სვავდნენ მზის სხივებს, ითვისებენენ მათ, ხოლო შემოქმედისადმი მადლობის ნიშნად აღაკმევდნენ მისადმი სურნელებას, ვითარცა საკმეველს.

მაგრამ ვეღარ ატკბობდა ელისბარს ვერც ჩრდილი და სიგრილე ფიჭვნარისა, ვერც ფერად-ფერადი ყვავილებით შემკული ხასხასი მწვანე, ვერც კეთილშეზავებული ჰაერი სურნელოვანი; ვეღარ უალერსებდა მის სმენას ვერც ქოჩორ გადავარცხნილი ფიჭვთა მწყობრი შრიალი, ვერც მის გვერდზე ჩამონადენ ნაკადის ღუღუნ-რაკრაკი; მადლიანი ბუნების სიმშვენივრე ვეღარ ახარებდა მის გულს. ვეღარა გრძნობდა იგი თავის თავს შემადგენელ ნაწილად ამ მშვენიერებისა, ვეღარ ჩაბმულიყო ბუნების გალაღებულ შვილთა ფერხულში, ვეღარ იძროდა მათის მოძრაობით, ვეღარ უერთებდა თავის ხმას მათ სამხიარულო გუგუნს. ვეღარც თაყვანსა სცემდა მათთან ერთად ვერც მშობელ დედამიწას, ვერც გაკაშკაშებულ ცას, ვერც ძლევამოსილ მზეს მცხოველმყოფელს, რომელიც ამაყად მისცურავდა ლაჟვარდ სივრცეში. დაჰხშობოდა ელისბარს ყოველივე გრძნობა ფერადი, მოსცუდებოდა ყოველივე აზრი ნათელი, ჩასჭკნობოდა ყოველივე სურვილი თუ მისწრაფება და მის არსებაში გამეფებულიყო შიში უსახო და საზარელი იმ წყვდიადისადმი, რომელს უმზერდა იგი გონების თვალით: აჩრდილი სიკვდილისა მიახლებოდა მას, შეეხო მისთვის თვისი ფრთა შავი და იზიდავდა თვისკენ ძლიერი.

ელისბარს კი არ ეთმობოდა თავი სამარისათვის! იგი შესთხოვდა ბუმბერაზ ფიჭვს მიენიჭებინა მისთვის ძალი სიცოცხლისა, რომელიც უხვადა სჩქეფდა მასში. მაგრამ ცამდინ აწეული ფიჭვი ვეღარა ჰხედავდა მის ძირში უძლურად მისვენებულ ვაჟკაცს: სიოსაგან რხეული აჰყოლოდა იგი ეთერთა ღელვას და მხიარულად სცურავდა გამჭვირვალ ჰაერში; მისი ნელი მიმოსვლა და წყნარი შრიალი უერთდებოდა მთელის ბუნების მწყობრ მოძრაობას და სამადლობელ გალობას დამატკბობელს.

ვ. ბარნოვი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.